



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-319/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო
ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე“
დამკვირვებლების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი - ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვათ დამკვირვებლებად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „საქართველოს ახალგაზრდა ინტელექტუალთა გაერთიანება - ლაზარე“ წარმომადგენლებს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან დანიშნული არიან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად შემდეგ კომისიებში:

1. ლელა მამულაშვილი - № 10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის № 72 საუბნო საარჩევნო კომისია;
2. ნანა მჭავანაძე - № 10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის № 73 საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი